# ოქმი N13

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 29 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 21 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ, როგორც პირად ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში. ამასთან სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს ქვეყანაში მიმდინარე უთანასწორო ბრძოლაში და გამარჯვება უსურვა მათ.

დღის წესრიგის გაცნობამდე სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა მალხაზ იოსავამ

მ. იოსავა - „მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარევ, მოგესალმებით პატივცემულო კოლეგებო, ბატონებო და ქალბატონებო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და სანამ დღის წესრიგს დაამტკიცებდეთ რამოდენიმე საკითხს შევეხები, რამოდენიმე წუთით ყურადღებას გთხოვთ და შემდეგ პროტესტის ნიშნად დავტოვებ დღევანდელ საკრებულოს სხდომას. არ ვიცი ვინ რამდენად ბედნიერები ხართ ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" დაშლით, ჩემი საკრებულოში უფუნქციოდ და უხელფასოდ დატოვებით, მაგრამ ადამიანი 500 ლარით მეტი ანაზღაურების მიღების გულისთვის მეგობარს და მეგობრებს რომ დაკარგავს, სინდისს და ნამუსს რომ დაკარგავს, შუბლზე კამეჩის ტყავს რომ გადაიკრავს და მერე უტიფრად „ღირსეული კაცივით" რომ დადის მაგას რა უნდა ველაპარაკო და რა უნდა ვუთხრა. პირდაპირ გეტყვით რომ ჩემს დასაქმებაზე და სამსახურის შოვნაზე არავისთან არაფრის თხოვნას არ ვაპირებ, ჩემს თავს მე თვითონ როგორმე მივხედავ, როგორმე დავისაქმებ და ამაზე არავის არაფერს არ ვთხოვ. მე ყოველდღე ფიზიკური სამუშაო და ყოველდღე „შრომის გაკვეთილები" რომ მქონდეს ის მირჩევნია, ვინმეს მონა ან მათხოვარი რომ გავხდე. მე, პირიქით საყვედურის ნაცვლად მადლობას ვეტყვი დაჩი ბერაიას, ჩემს გუნდში მყოფი მოღალატე, უსინდისო და უღირსი ხალხის გამოფრისთვის. დაჩიმ ხობში ფრაქციის დაშლით „ოცნების ბოსებთან" ქულები

დაიწერა, მაგრამ ჩემი ფრაქციის ყოფილი წევრების მოსყიდვით, დაჩი პარტიას „საქართველოსთვის“ ვერც დაასუსტებს და ვერც ვერაფერს დააკლებს. პირიქით საზოგადოება ყველაფერს კარგად ხედავს, ჩვენი პარტია უღირსი და უსინდისო წევრებისგან გაიწმინდა და კიდევ გაიწმინდება და „ქართულ ოცნებას“ მალე ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება ეს და სხვა ბევრი უსამართლო გადაწყვეტილებები. ჩემს პარტიაში დარჩენის საკითხს მე უახლოეს პერიოდში გადავწყვეტ და გავასაჯაროებ, მაგრამ პირდაპირ ვამბობ და ვაცხადებ, რომ არ ვითანამშრომლებ ჩემი გუნდის იმ წევრებთან, რომლებიც მზად იყვნენ პირადი ინტერესების გულისთვის ეღალატათ გუნდისთვის და პარტიისთვის. მე, ხობის სიყვარულით საკრებულოს წევრის პოზიციიდან, უხელფასოდ და თანამდებობის გარშეც შევძლებ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული საკითხების დასმას, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩემს მიერ დასმული მრავალი მნიშვნელოვანი საკითხიდან არც ერთი არაა სრულყოფილად გადაწყვეტილი და ბოლომდე მიყვანილი. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული რიგი მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები თითქმის არაა გათვალისწინებული. კერძოდ, არაა გათვალისწინებული განაშენიანების გენერალური გეგმის მომზადება, რომელიც მანამდე პრიორიტეტად და აუცილებ საჭიროებად მიგვაჩნდა, არ არის გარკვეული როდის განხორციელდება პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგება და შესაბამისად ბიუჯეტში არაა გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაფასებისთვის საჭირო ხარჯი, არაა გათვალისწინებული დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების დასრულება, რის გამო მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს და რომელთა დასრულება უკეთეს სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემდა. არაა გათვალისწინებული ნარჩენების მართვის გაუმჯობესებაზე საჭირო რიგი ხარჯები. საკრებულოს მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად მერიის მიერ არ მომზადებულა პარკირებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის რეგულირების წესები, არაა მოწესრიგებული 12 ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების სახელდება, არაა მომზადებული წინადადება ფეხბურთის განვითარებაზე და სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა წინადადება დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების სახელფასო სარგოს შესაძლო მატებაზე, რაც დღევანდელი ინფლაციიდან და დუხჭირი ცხოვრებიდან გამომდინარე მაინც არასაკმარისად მიმაჩნია. ჩვენ საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მაინც მოგვიწევს მსჯელობა და გადაწყვეტილებების მიღება. საჭიროდ მიმაჩნია საკრებულოს კომისიებზე სანახევროდ განხილული საკითხების დასრულება, საკრებულოს მიერ

მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების მონიტორინგი და კონტროლი. 2023 წლის ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ, რომლის წევრის მეც ვარ, ნაწილობრივი რეკომენდაციებით დაუბრუნა უკან მერიას. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების განხორციელება ნამდვილად საჭიროდ მიმაჩნია, მაგრამ სამწუხაროა რომ ხობში ვიღაცის და ამ ვიღაცაზე დაქვემდებარებული პირების ვითომ „პოლიტიკური ნების" გამო საკრებულოს თანამდებობის არ მქონე წევრები ვართ დაჩაგრულები და მთელი ქვეყნის მაშტაბით ხობის საკრებულოს წევრი იღებს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ყველაზე დაბალ თანხას 350 ლარს და თავმჯდომარის განმარტებით, თურმე საკრებულოს წევრები არაფერს არ ვაკეთებთ, ჭკვიანად უნდა ვიყოთ და კანონის შესაბამისად უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სარგოს მომატება კი არა, თურმე ვალდებულები ვართ წარვადგინოთ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი. საკრებულოს თავმჯდომარის ეს პასუხი არის სიცრუე და სიყალბე. თუ ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციის წარდგენას ითვალისწინებს კანონმდებლობა რა მნიშვნელობა აქვს სარგოს ოდენობას ან აქამდე რატომ ვარღვევდით კანონს? სანამ დაგტოვებთ ერთ რამესაც გეტყვით ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ ია ჯიშკარიანმა გკითხათ რა კრიტერიუმით შეარჩიეთ საკრებულოს მესამე მოადგილე? თქვენ უპასუხეთ, რომ ყველაზე კონსტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენელი შევარჩიეთ მესამე მოადგილედ. მე არ დაგეთანხმებით და პირდაპირ გეტყვით სიმართლეს, რომ თქვენ ყველაზე მოღალატე, ყველაზე გადამგდები და ყველაზე უღირსი ოპოზიციის წარმომადგენელი აირჩიეთ მესამე მოადგილედ და გილოცავთ ამ სამარცხვინო არჩევანის გაკეთებას. ასევე საჭიროდ მიმაჩნია, განიხილოთ წინადადება საკრებულოს სხდომების ვიდეო ჩანაწერის სოციალური ქსელით საკრებულოს ვებ-გვერდიდან ლაივ ტრანსლირების შესახებ ან გადმომცეთ დღევანდელი და საკრებულოს სხდომების ვიდეო ჩანაწერები" - განაცხადა მან.

გამომსვლელმა განცხადების გაკეთების შემდგომ, პროტესტის ნიშნად დატოვა საკრებულოს სხდომა.

თ. ქირია - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი მოძრაობის" წევრი - გამომსვლელმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს და ყველა იმ პირებს, ვინც წვლილი შეიტანა, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაპირებული პროექტის განხორციელებისთვის. ასევე აღნიშნა, რომ დღევანდელი სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილია საკრებულოს წევრის, ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრის, ზურაბ შამათავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის

საკითხი. მან ისაუბრა ზ. შამათავას ღირსებებზე, პატრიოტიზმზე და მისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულზე, რომელიც იბრძოდა 8 აგვისტოს რუსეთის წინააღმდეგ ქვეყნის დასაცავად, მაგრამ მთავრობამ ის იძულებული გახადა დაეტოვებინა ქვეყანა და დღეს მას საკრებულო შეუწყვეტს უფლებამოსილებას, „ის ჩემი მეგობარია და მე გული მწყდება, რომ ასეთი ახალგაზრდა პატრიოტი ადამიანი ტოვებს ქვეყანას, რაც ისევ ამ ხელისუფლების დამსახურებაა" - განაცხადა მან.

**ლ. ქავთარაძე, მ. ქარდავა** - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრმა ზურაბ შამათავამ თავისი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

საკრებულოს წევრმა, თამარ ქირიამ განცხადების გაკეთების შემდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა საკრებულოს სხდომა.

*დღის წესრიგი:*

1. „საკრებულოს წევრის ზურაბი შამათავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

11. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

12. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

13. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

14. „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

15. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

16. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

17. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

18. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

## დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „საკრებულოს წევრის ზურაბი შამათავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საკრებულოს წევრის ზურაბი შამათავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-9 და მე-10 საკითხთებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე 2022 წლის 16 დეკემბერს შემოვიდა საკრებულოს წევრის ზ. შამათავას განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. კომისიის მიერ ზემო აღნიშნული განცხადების საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტი: „საკრებულოს წევრის ზურაბ შამათავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“. საკრებულოს წევრი ზ. შამათავა კომისიებში ფრაქციათა პროპორციულობის წარმომადგენლობის საფუძველზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს მიერ წარდგენილი იყო საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის და საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობაში. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან ერთად მას უწყდება კომისიებში საქმიანობის უფლება. შესაბამისად მომზადდა განკარგულების

პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი გატანა ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

**(განკარგულება N34 ოქმს თან ერთვის)**

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: დ. ჭოჭუა -** მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები განისაზღვრა - 21576,8 ათასი ლარით და გადასახდელები განისაზღვრა - 25479,2 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან" (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) 105994,25 ლარით და ასევე გადიდდა 105994,25 ლარით ქვეპროგრამის ,,საჯარო სკოლების დაფინანსება" ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა–გადაყვანის) ხარჯი" ასიგნება; ასევე შემცირდა 8,2 ათასი ლარით პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნება, აქედან: 8,2 ათასი ლარით - ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნება. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები და ცვლილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N23 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა - 14518,6 ათასი ლარით, გადასახდელები - 14518,6 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 799,6 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 260,0 ათასი ლარი; ცენტრალური სსიპ(ებ)-დან ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის 539,6 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი - 90,0 ათასი ლარით; ვალდებულებების ცვლილება, კლება 59,0 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

(დადგენილება N24 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიულოცა საკრებულოს წევრებს, მუნიციპალიტეტის მერს და დამსწრე საზოგადოებას მომავალი, 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება და წარმატებული, ნაყოფიერი და მოსახლეობის სასიკეთო საქმიანობა უსურვა ადგილობრივ ხელისუფლებას.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** ა. **ვარდია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ და განაცხადა, რომ ძველი ინსტრუქციით დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და იურიდიულ პირებზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრებოდა ნარჩენის დაგროვებით მ³-ში, აღნიშნულის რეალური დაგროვების დადგენა ვერ ხერხდებოდა და სირთულეს ქმნიდა ნარჩენის ოდენობის განსაზღვრისას. ახალი ინსტრუქციის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საერთო ფართის მიხედვით წლიური დაგროვების ნორმის შესაბამისად, რაზედაც მომზადდა დადგენილების პროექტი. ამასთან შემოვიდა წინადადებით მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ: სოფლად დასუფთავების მოსაკრებლის კომლზე 1 ლარის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

**აზრი გამოთქვეს:** ნ. **შუშანია** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მოსახლეობა ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო და ნარჩენის გატანის გადასახადი, რომ ვერ გადაიხადოს ან არ გადაიხადოს, მაშინ რა მექანიზმი გააჩნდა მერიას თანხის ამოსაღებად?

მ. **რუხაძე** - მერიის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ მოსახლეობასთან დაიდებოდა ხელშეკრულება, 50 კომლზე იქნებოდა ერთი ერთეული სანაგვე ურნა გათვალისწინებული და მოსაკრებლის არ გადახდის შემთხვევაში მერიის მხრიდან განხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

ა. **ვარდია** - გამომსვლელის განცხადებით, მოსახლეობასთან ხელშეკრულების დადების შემდგომ, დავალიანების შესახებ მოსაკრებლის გადამხდელს მითითებულ ტელეფონზე მიუვა სმს შეტყობინება და თანხას გადაიხდიან აპარატებიდან. მისი აზრით, მოსახლეობას არ გაუჭირდება ნარჩენების მოსაკრებლის გადახდა, რადგანაც ეს იყო წელიწადში მინიმალური თანხა 12 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოსახლეობიდან ნარჩენების გატანის მოსაკრებლის ამოღება 100%-ით შეიძლება ვერ განხორციელებულიყო, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა გადაიხდიდა წელიწადში 12 ლარს. იქვე სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ, როგორც მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა განმარტა, „დასუფთავების მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს N28 დადგენილებით დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრული იყო ნარჩენის დაგროვებით მ³-ში, სამუშაო პროცესში რეალური დაგროვების დადგენა ვერ ხერხდებოდა და სირთულეს ქმნიდა ნარჩენის ოდენობის განსაზღვრისას. აღნიშნულის გამო წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დასუფთავების მოსაკრებელი იურიდიული პირებისა და საწარმოო-დაწესებულებებისთვის განისაზღვრება საერთო ფართის მიხედვით წლიური დაგროვების ნორმის შესაბამისად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი წინადადების ცვლილებით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კენჭი ეყრება მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის (ა. ვარდია) მიერ წარმოდგენილ წინადადებას, სოფლად დასუფთავების მოსაკრებლის კომლზე 1 ლარის განსაზღვრის თაობაზე.

კენჭი ეყარა სამსახურის უფროსის წარმოდგენილ ცვლილებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N25 ოქმს თან ერთვის)

მე-4 საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ განცხადების გაკეთება ითხოვა მოქალაქე საბა სორდიამ და გამონაკლისის სახით სხდომის თავმჯდომარემ დაუთმო განკუთვნილი დრო.

**ს. სორდია** - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, რის შემდგომაც თხოვნით მიმართა მერს და მერიის შესაბამის სამსახურებს, რომ ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მინი სტადიონი სავალალო მდგომარეობაში იყო და შესაძლებლობის ფარგლებში დროულად მოეწესრიგებინათ. ასევე ისაუბრა მუნიციპალური ტრანსპორტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მთელს მუნიციპალიტეტში აღნიშნული პრობლემა არსებობდა და როგორმე მოგვარებულიყო, რადგანაც სპორტით დაკავებული ახალგაზრდები, სოფლიდან დროულად ვერ ახერხებენ ქალაქის ცენტრში მოხვედრას, რადგანაც ტრანსპორტი სისტემატიურად არ მოძრაობდა.

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ა. ვარდია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანების თანახმად, შეიცვალა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების, ინვენტარიზაციის შედეგების, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის წესი, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიმკარიანი, მ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიმკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N26 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ", რომლის საფუძველზე დაკორექტირდა, როგორც საკრებულოს თანამდებობის პირების, ასევე საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები, რომელიც მოექცა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრულ კოეფიციენტებში და სახელფასო კოეფიციენტების ერთი კატეგორიის ფარგლებში. ზემო აღნიშნული კოეფიციენტები შესაბამისობაშია „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივ სარგოსთან. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, შ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N27 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ზ. ბუკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდგომ პერიოდში ჩატარებული დახურული და

ღია კონკურსების შედეგად, მერიის მოქმედ მოხელეთა კარიერული განვითარების საფუძველზე გამოთავისუფლდა ან/და თავისუფლდება თანამდებობები, რომელთა გაუქმება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კერძოდ:

1. საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებაში - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 თანამდებობა.

2. ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილებაში - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 თანამდებობა და მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 თანამდებობა.

3. წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 თანამდებობა.

4. ზედამხედველობის სამსახურში - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 თანამდებობა.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებით, მერიის საშტატო ნუსხა მცირდება 5 საშტატო ერთეულით.

ასევე, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1210 ლარის ოდენობით, რაც იწვევს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების 10%-ით გაზრდას. ანალოგიურად, 10%-ით იზრდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება. ზემო აღნიშნული ცვლილებების ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში ასახვის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ზოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N28 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ საქართველოს „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის" მე-13 მუხლის შესაბამისად, შემუშავდა ხობის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო გეგმა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი, მ. ხუხია, ლ. ადანაია, ლ. ლაშხია, ჯ. ჯიშკარიანი, გ. ქარდავა, ნ. ბოკუცავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი -** მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული.

**(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)**

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი -** მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N37 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ, საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20 წუთით.

შესვენების შემდგომ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 წევრმა

11. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ე. კვიკვინია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**ფ. კუკავა** - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, ხობის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის 2020 წლის 13 ნოემბერს გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის

მემორანდუმისა და სსიპ საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ „ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის ანგარიში 2021"-ის საფუძველზე; უშუალოდ სსიპ საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობითა და ა(ა)იპ „მშვიდობისა და განვითარების აკადემიის" პროექტის - „ჩართულობითი და მხარდამჭერი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება სამეგრელოს რეგიონში" - ფარგლებში, მოამზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლების ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტი. ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას. სტრატეგია ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბებას, ახალგაზრდებს მიეცემათ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

გადაწყვეტილება მიღებულია

**(განკარგულება N38 ოქმს თან ერთვის)**

12. „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ზუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: ე. კვიკვინია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ფ. კუკავა - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ, ახალგაზრდულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის პროექტზე დაყრდნობით, მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა, რითაც განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეებზე, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებზე, გასაცემი ერთჯერადი ფულადი ჯილდო, ჯილდოს ოდენობა და გაცემის წესი. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

გადაწყვეტილება მიღებულია

(**განკარგულება N39 ოქმს თან ერთვის**)

13. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ფ. კუკავა - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ, ხობის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლების ახალგაზრდული განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტის შესაბამისად, შემუშავდა ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერებას, ახალგაზრდების წინაშე მდგარი არაერთი გამოწვევის მოგვარებას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N40 ოქმს თან ერთვის)

14. „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ე. კვიკვინია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ე. კვიკვინია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ფ. კუკავა - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა, რითაც განისაზღვრა ა) მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებში მიღებულ შედეგებზე სპორტსმენების ერთჯერადი ფულადი პრემიის ზღვრული ოდენობა ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში. სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისთვის სპორტსმენებზე გასაცემად განსაზღვრული საპრემიო განაკვეთების 50% (ორმოცდაათი) პროცენტის შესაბამისი თანხის გაცემა გამარჯვებული სპორტსმენების პირად მწვრთნელებზე. ბ) საქართველოს პირველობაზე, ჩემპიონატებზე, ტურნირებზე, რეგიონალურ და ადგილობრივ ღონისძიებებზე მონაწილე სპორტსმენების კვების დღიური ხარჯის ნორმები; გ) ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის-სასპორტო სკოლის სასწავლო ჯგუფების კვირეული დატვირთვის ნორმატივი აკადემიურ საათებში; დ) ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის სასპორტო სკოლის სასწავლო ჯგუფებში სწავლების ეტაპების მიხედვით მეცადინეობათა ნორმატივები. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N41 ოქმს თან ერთვის)

15. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: შ. კანკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

**ფ. კუკავა** - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებით

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 567700 ლარის ოდენობით. აღნიშნულ პროგრამში სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლში გამოყოფილი თანხა 80000 ლარი არასაკმარისი აღმოჩნდა, დამატებულ იქნა 71400 ლარი და შესაბამისად აღნიშნული მუხლი განისაზღვრა 151400 ლარით, ასევე 2022 წლის 16 და 23 ივნისის, 11 და 12 ოქტომბრის სტიქიით (ძლიერი წყალდიდობა) მიყენებული ზარალის მოსახლეობაზე ანაზღაურების დაფინანსების მიზნით დამატებულ იქნა ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლში 51231 ლარი და შესაბამისად აღნიშნული მუხლი გაიზარდა 71231 ლარამდე და პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 690331 ლარის ოდენობით. ასევე პროგრამაში ეკონომიების ხარჯზე მოხდა მუხლებს შორის თანხების გადანაწილება საჭიროებების მიხედვით, კერძოდ: შემცირდა შემდეგი მუხლები:

- უმწეოთა სასადილოს მუხლი 15920 ლარით. (ტენდერის შედეგად)
- სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლი 27250 ლარით. ( ტენდერის შედეგად) .
- მრავალშვილიანთა დახმარების მუხლი 4750 ლარით.
- უსახლკაროდ დარჩენილთათვის, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადის მუხლი 3500 ლარით.
- სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფარულის დაქირავების მუხლი 4700 ლარით.
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების მუხლი 3600 ლარით.
- 6-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის დაფინანსების მუხლი 3000 ლარით.
- ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლი 10000 ლარით.
- საერთო ჯამში 72 720 ლარი.

ზემო აღნიშნული თანხა მიიმართა:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების მუხლი 2000 ლარი.

2. სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება ყოველთვიურად. (120000 და ნაკლები ქულა. ქ. ხობში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი.) დაფინანსების მუხლი 5600 ლარი.

3. საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარმოდგენისას, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე, მხოლოდ პაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით (300 ლარი და ზემოთ) (ერთჯერადად) დახმარების მუხლი 54020 ლარი.

4. 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების მუხლი 9000 ლარი.

5. შშმ პირთა და ონკოლოგიურ დაავადებაზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსების მუხლი 1500 ლარი.

6. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერ ერთჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების დაფინანსების მუხლი 600 ლარი.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N42 ოქმს თან ერთვის)

16. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ფ. კუკავა - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტში მერიის განმარტებით უმწეოთა სასადილოში დასარეგისტრირებელ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა განსაზღვრული იყო 150 ბენეფიციარით. ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში ბენეფიციართა მაღალი მომართვიანობიდან და შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა 2023 წლიდან რაოდენობის გაზრდა 155 ბენეფიციარამდე, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ . გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N43 ოქმს თან ერთვის)

17. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" და განკარგულების პროექტის გაცნობის შემდეგ განმცხადებელმა განაცხადა, რომ სამსახურის მხრიდაან მიზანშეწონილად ჩაითვალა განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამისა და თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" და ითხოვა განკარგულება ხელმოსაწერად მომზადდეს ამ მცირე კორექტირების გათვალისწინებით

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ფ. კუკავა - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამსახურმა შეიმუშავა ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის სოციალური პროგრამები, 2022 წელთან შედარებით განხორციელდა ცვლილებები პროგრამის გარკვეულ მუხლებში კერძოდ:

1. უმწეო ბენეფიციართა კვებითი მომსახურების ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრა 155 ბენეფიციარის ოდენობით ნაცვლად 150-სა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 125000 ლარის ოდენობით ნაცვლად 100000 ლარისა.

2. მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 80 მრავალშვილიან ოჯახზე 20000 ლარის ოდენობით ნაცვლად 24000 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ).

3. 100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 7 უხუცესზე 250 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1750 ლარის ოდენობით ნაცვლად 1500 ლარისა.

4. სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის (120000 და ნაკლები ქულა ქ. ხობში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი.) წყლის ხარჯის ყოველთვიურად ანაზღაურების მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 17000 ლარის ოდენობით ნაცვლად 10 000 ლარისა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით გაიზარდა ამ ბენეფიციართათვის სარეიტინგო მაჩვენებელი 120000, რამაც გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა.

5. ერთჯერადი ფულადი დახმარების მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 20000 ლარის ოდენობით ნაცვლად 30000 ლარისა, ცვლილება გამოწვეულია შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამის ამოქმედებით.

6. საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარდგენისას (გადაუდებელი ოპერაციის დროს პაციენტის საავადმყოფოდან გაწერიდან ერთ თვემდე, ხოლო გეგმიური ოპერაციის შემთხვევაში ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე). საოპერაციო(გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარმოდგენისას, (გადაუდებელი ოპერაციის დროს პაციენტის საავადმყოფოდან გაწერიდან ერთ თვემდე, ხოლო გეგმიური ოპერაციის შემთხვევაში ,ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე). ბიუჯეტი განისაზღვრა 155000 ლარით ნაცვლად 160000 ლარისა. ცვლილება გამოიწვია დაფინასების ახალ სისტემაზე გადასვლამ.

7. დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარების ოდენობა 15 ბენეფიციარზე განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით ნაცვლად 150 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 36000 ლარის ოდენობით ნაცვლად 27000 ლარისა.

8. დახმარება ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის განისაზღვრა 12 ბენეფიციარზე 250 ლარი ნაცვლად 150 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 3000 ლარის ოდენობით ნაცვლად 1950 ლარისა.

9. სამამულო ომის ვეტერანების დახმარების (9 მაისი) მუხლი ბენეფიციარის არ ყოლის გამო ამოღებულ იქნა.

10. პროგრამას დაემატა არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: ძალადობის მსხვერპლი ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსების მუხლი, რომელიც განისაზღვრა 5000 ლარის ოდენობით, მემორანდუმის (ხელშეკრულების) საფუძველზე.

11. 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო რეაბილიტაციას, ერთჯერადი თანხით დაფინანსების მუხლი განისაზღვრა 10000 ლარით ნაცვლად 7000 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბოლო სამი წლის დინამიკიდან გამომდინარე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდამ).

12. შშმ პირთა და ონკოლოგიურ დაავადებაზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა 16000 ლარის ოდენობით ნაცვლად 15150 ლარისა (ცვლილება გამოიწვია წინა წლის მომართვიანობის დინამიკამ).

13. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერ ერთჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების (თებერვალი-სექტემბერი) დაფინანსების მუხლი განისაზღვრა 2400 ლარით ნაცვლად 1800 ლარისა (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდამ).

14. მარტოხელა (დაუძლურებულ ხანდაზმულთა) შინმოვლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 000 ლარის ოდენობით.

ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 609 950 ლარით, რაც საანგარიშო წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 42250 ლარით (2022 წ ბიუჯეტი 567700 ლარი). გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ

კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0**

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N44 ოქმს თან ერთვის)

18. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ზუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: შ. კანკია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს, წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ფ. კუკავა - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვრა 51240 ლარის ოდენობით, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6000 ლარით, ცვლილება გამოიწვია მედდის სახელფასო სარგოს ოდენობის გაზრდამ. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N45 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. აკაკი მალანია
10. აკაკი ხურცილავა
11. გიორგი გვასალია
12. ბადრი რიჟამაძე
13. ფრიდონი შონია
14. ფრიდონი კუკავა
15. ბექა ხარბედია
16. სერგო ზერაია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. მაკა ჩარტია
21. დიტო ხასია